საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

KA011848053075213

საქართველო, თბილისი 0154, აკ.წერეთლის გამზ. N 67ა; ფაქსი: (+995 32) 2-35-79-18, ცხელი ხაზი: (+995 32) 2-40-10-10
ელ.ფოსტა: info@psda.gov.ge, ვებ-გვერდი: www.psda.gov.ge

24 / აპრილი / 2013 წ. **N 01/87714**

შპს 'ოპტიმუსი'-ს დირექტორს ბატონ გაიოზ
ჭანკვეტაძეს

ბატონო გაიოზ,

ქ. თბილისში, არქივის შენობის განსათავსებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2013 წლის 27 მარტს გამოცხადებულ #710 კონკურსში შპს „ოპტიმუსი"-ს წინადადების განხილვისას გამოვლინდა, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეიცავს ხარვეზს. კერძოდ, შემსყიდველი ორგანიზაციის საკონკურსო დოკუმენტით გათვალისწინებული იყო რომ საკონკურსო წინადადების ფასი კონკურსში მონაწილეებს უნდა წარმოედგინათ საკონკურსო დოკუმენტის დანართი #2–ის მიხედვით. „კონკურსანტის შემოთავაზება"–ს (დანართი #2) „საკონკურსო წინადადების ღირებულება"–ში „გარე განაშენიანება" ნაცვლად 300 კვ.მ–ისა, მითითებულია 400 კვ.მ., ხოლო „არქივის შენობა" ნაცვლად 2350 კვ.მ–ისა მითითებულია 2200 კვ.მ.. კონკურსანტის მიერ მოცემული ერთეულის ღირებულებების და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მოცულობის გათვალისწინებით, საკონკურსო წინადადების ღირებულება ნაცვლად 20000 ლარისა, შეადგენს 21300 ლარს, რაც აღემატება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას – 21000 ლარს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან შპს „ოპტიმუსი"-ს წინადადების განხილვის გაგრძელებით შემსყიდველი ორგანიზაცია შესაძლებელია აღმოჩნდეს რისკის ქვეშ გააფორმოს ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე მაღალი ფასით, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით შპს „ოპტიმუსი" დისკვალიფიცირებულ იქნეს კონკურსიდან.

პატივისცემით,

სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტო, მხარდაჭერის დეპარტამენტის
დირექტორი, თავმჯდომარის მოადგილე

ნინო ინწკირველი